მზია ამაღლობელის მხედველობის დაკარგვის საფრთხე სახელმწიფოს მხრიდან სათანადო რეაგირების მიღმა რჩება



ევროკავშირის ადამიანის უფლებათა უმაღლესი ჯილდოს – სახაროვის პრემიის მფლობელი, პოლიტიკური პატიმარი მზია ამაღლობელი 2025 წლის 12 იანვრიდან უკანონო პატიმრობაში იმყოფება.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ მზია ამაღლობელს მნიშვნელოვნად დაუქვეითდა მხედველობა. მიუხედავად ექიმების რეკომენდაციისა და ადვოკატის არაერთი მოთხოვნისა, მას დღემდე არ უტარდება მდგომარეობის გამოსაკვლევად აუცილებელი მაღალტექნოლოგიური კვლევები. ეს კი ხელს უშლის მკურნალობის დაგეგმვას და ქმნის შეუქცევადი ზიანის რისკს.

მხედველობასთან დაკავშირებული სამედიცინო ისტორია

- **2013:** მზია ამაღლობელს დაუსვეს **კერატოკონუსის დიაგნოზი მარცხენა თვალზე**. თურქეთში ჩაიტარა ოპერაცია, რის შემდეგაც მხედველობა შენარჩუნდა მხოლოდ **2%-ზე**, თუმცა სტაბილური იყო მარჯვენა თვალის ხარჯზე.
- ოპერაციის შემდეგ მას რეგულარულად, **ყოველ 3-6 თვეში ერთხელ** სჭირდებოდა მაღალტექნოლოგიური ოფთალმოლოგიური კვლევები, რომლებსაც იტარებდა უკანონო პატიმრობამდე.
- **2025 წელს, დაკავებამდე:** მარჯვენა თვალში მხედველობა იყო, **დაახლოებით, 30% (0.3)**, სათვალით კორეგირების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო **90%-მდე მისი გაუმჯობესება**.

მდგომარეობის გაუარესება პატიმრობის პერიოდში

- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ მზია ამაღლობელის მხედველობა **საგანგაშოდ გაუარესდა**.
- **2025 წლის 4 თებერვალი:** მარჯვენა თვალზე კორეგირება შესაძლებელი იყო **60%-მდე**.
- **2 დღეში:** მხედველობამ **20%-ით დაიწია**. კორეგირება შესაძლებელი გახდა მაქსიმუმ **40%-მდე**, დაკავებამდე არსებული **90%-ის ნაცვლად**.
- **2025 წლის ივლისში ჩატარებული კვლევებით:** მარჯვენა თვალზე მხედველობა **10-20%-ია** და კორეგირდება **30-40%-მდე,** ხოლო მარცხენა თვალზე **1%-ია** და არ კორეგირდება.
- **ივლისის შემდგომ მზია ამაღლობელს ხელახალი კვლევები არ ჩასტარებია, შესაბამისად,** უცნობია, მოხდა თუ არა გაუარესება.

მიუხედავად სამედიცინო შეფასებებისა, რომლებიც ცალსახად აჩვენებს ციხეში ყოფნის პერიოდში მზია ამაღლობელის მხედველობის საგანგაშო გაუარესების დინამიკას, სასჯელაღსრულების დაწესებულებას არ მიუღია რაიმე ეფექტიანი ზომები ადეკვატური გამოკვლევებისა და შესაბამისი მკურნალობის დასაგეგმად, ასევე, არ დადგენილა მხედველობის ამგვარი დრამატული გაუარესების მიზეზი.

სათანადო სამედიცინო მომსახურების მიუწვდომლობა

- მზია ამაღლობელმა და მისმა ადვოკატმა არაერთხელ მოითხოვეს სრულფასოვანი კვლევების ჩატარება სპეციალიზებულ კლინიკებში: **„ნიუ ჰოსპიტალსის ოფთალმოლოგიის ეროვნულ ცენტრში“**, სადაც პაციენტის წინა კვლევების ისტორია ინახება და შესაძლებელია **ტოპოგრაფიული მონაცემების შედარება,** ან **„კავკასიის სამედიცინო ცენტრში“**.
- პაციენტმა თავად გამოხატა მზადყოფნა, დაფაროს კვლევების ხარჯი – სახელმწიფოს დამატებითი ფინანსური ვალდებულება არ აქვს.
- მიუხედავად ამისა, პაციენტი გადაიყვანეს კლინიკა **„მზერაში“**, სადაც საჭირო მკურნალობის დაგეგმვა არ არის შესაძლებელი.

„მზერაში“ ჩატარებული კვლევების პრობლემები

- რეკომენდაცია გაიცა მხოლოდ **მარჯვენა თვალზე კროს-ლინკინგის ჩატარებაზე**; **მარცხენა თვალზე არანაირი რეკომენდაცია არ გაკეთებულა**, მიუხედავად, ფაქტობრივად, განულებული მხედველობისა.
- პაციენტს **არ განემარტა** პროცედურის რისკები, შედეგები, ალტერნატივები, რაც არღვევს **ინფორმირებული თანხმობის უფლებას**.

ადვოკატის მიმართვები უპასუხოდ დარჩა

მიუხედავად მზია ამაღლობელის ჯან-მრთელობის მკვეთრი გაუარესებისა, უპასუხოდ დარჩა ადვოკატ მაია მწარი-აშვილის ოთხი წერილი, რომლებიც ეხებოდა სპეციალიზებულ კლინიკაში მის გადაყვანას, აუცილებელი დიაგ-ნოსტიკის ჩატარებას და მკურნალო-ბის დაგეგმვას.

უფლებრივი შეფასება

- პატიმრობისას სახელმწიფოს ეკისრება პირის ჯანმრთელობის დაცვისა და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის **გაძლიერებული ვალდებულება**.
- საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს:
  - **სათანადო ხარისხის სამედიცინო მომსახურება**;
  - **სპეციალისტებთან წვდომა;**
  - **დროული დიაგნოსტიკა** და **ინდივიდუალური მკურნალობის დაგეგმვა**.
- მზია ამაღლობელის შემთხვევაში, ეს ვალდებულებები **მკაფიოდ დარღვეულია.** მას შეუზღუდეს:
  - ✔ კლინიკის არჩევაზე წვდომა;
  - ✔ ინფორმირებული თანხმობის უფლება;
  - ✔ დროული კვლევებისა და მკურნალობის ხელმისაწვდომობა;
  - ✔ ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

მზია ამაღლობელს, თავისუფლებასთან ერთად, წართმეული აქვს უფლება: ჩაუტარდეს გა-მოკვლევები იმ კლინიკაში, რომელიც აღჭურვილია მის დიაგნოზთან თავსებადი სამედიცინო ტექნიკით, ასევე, სათანადო კვლევების შედეგად, მიიღოს ინფორმაცია, რა პროცედურებია სა-ჭირო მინიმალურ ნიშნულზე არსებული მხედველობის შესანარჩუნებლად, რა სამედიცინო შედეგებთანაა დაკავშირებული შერჩეული მკურნალობა, როგორია ჯანმრთელობისთვის მოსალოდნელი რისკები, არსებობს თუ არა ალტერნატიული ვარიანტები მკურნალობასთან დაკავშირებით, რა არის სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის შესაძლო რისკები და ა.შ. აქედან გამომდინარე, მზია ამაღლობელს წართმეული აქვს მხედველობის შენარჩუნებისთვის მკურნალობის დასაგეგმად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და, შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

ჩვენი მოთხოვნები

1 საქართველოს იუსტიციის მინისტრს

დაუყოვნებლივ უზრუნველყოს:

- მზია ამაღლობელის გადაყვანა სრულად აღჭურვილ კლინიკაში, როგორიცაა:
  „ნიუ ჰოსპიტალსის ოფთალმოლოგიის ეროვნული ცენტრი“
  ან **„კავკასიის სამედიცინო ცენტრი“**.
- ორივე თვალზე **მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკის ჩატარება**.
- კვლევებზე დაყრდნობით, **მკურნალობის სრული გეგმის შერჩევა** მხედველობის შესანარჩუნებლად.

2 საქართველოს სახალხო დამცველს

- მოკლე ვადაში შეაფასოს, დაირღვა თუ არა მზია ამაღლობელის **სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება**.
- საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს **პროფილური სამედიცინო ექსპერტიზა** შეფასების მოსამზადებლად.

ამონარიდი მზია ამაღლობელის მიერ ციხის ადმინისტრაციისთვის გაგზავნილი წერილიდან** „[...] თქვენი დაწესებულების პროვაიდერ კლინიკა „მზერას“ არ გააჩნია თანამედროვე/საჭირო აპარატურა და მისი ჩატარებული კვლევები ვერ აჩვენებდა სრულყოფილ სურათს. გარდა ამისა, მე არ გამსაუბრებია კლინიკა „მზერას“ ის ექიმი, რომელმაც გასცა რეკომენდაცია. ჩემთვის პასუხგაუცემელი დარჩა კითხვები — რა რისკები გააჩნია ან რა შედეგის შემცველი იქნებოდა ის მანიპულაცია თვალზე, რის რეკომენდაციაც მივიღე. ვიცი, მედიცინაში გარანტიები არ არსებობს, შესაბამისად, არც გაიცემა და არც ველოდები, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ ერთ თვალში (მარჯვენა) შემომრჩა მხედველობის ის ხარისხი, რითაც ძირითადად სათვალის გამოყენებით ვახერხებ კითხვას, ვალდებული ვარ, გადაწყვეტილებებში ვიყო უფრო ფრთხილი. ჩემი მხედველობის შენარჩუნება ან/და გაზრდა შესაძლებლად მიმაჩნია ჩემს სამედიცინო ისტორიაზე დაყრდნობით, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილ კლინიკაში, სადაც ექიმებს აქვთ კერატოკონუსის დიაგნოზის მქონე პაციენტების მკურნალობის გამოცდილება“.

GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION